


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



"ვამტკიცებ "
თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგის და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

[Handwritten signature]

თორნიკე შერმადინი

„28“ 12 ----- 2012 წელი

ეგზ. N2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი
სამმართველოს ფინანსური აუდიტის ანგარიში
(01.10.2008 -01.01.2010)

W 27/00

სარჩევი

შესავალი.....	3
საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	4
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები.....	4
ძირითადი ტექსტი.....	5
1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა დადგენილ ნორმებთან.....	5
2. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა და კანონიერება	12
3. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან	21
4. სახელმწიფო ქონების განკარგვის მდგომარეობა	31
5. წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა	32

შესავალი

თემატური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 7 მაისის N 54/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველო. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიდის მასივი II კვ., კ. ჩალაძის ქ. N1. ტელ/ფაქსი 41-40-79

აუდიტის ჯგუფი - მთავარი აუდიტორი - ირაკლი ყენია (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორები: მანანა დავითური, მაკა დიხამინჯია, აუდიტორ-ასისტენტი თამთა მელქაძე
აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

აუდიტის ვადა - 10/05/2010 – 11/06/2010 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველო - მთავარი სამმართველო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ - შესყიდვების სააგენტო

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 3.01.06 წლის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულება - დებულება.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

ქ. თბილისის მთავარი სამმართველო, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს სამინისტროს ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე.

მთავარი სამმართველოს ამოცანები კომპეტენციის ფარგლებში:

- სახელმწიფოს ინტერესების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირების უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;
- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა, თავიდან აცილება, აღკვეთა;
- საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა;
- წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;
- ექვიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, დამნაშავეთა, ასევე სხვა სამართალდამრღვევთა ძებნა და დაკავება, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოსაძებნად;
- დასახლებული პუნქტების მიხედვით დანაშაულისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა, დამნაშავეთა და სამართალდამრღვევ პირთა შესახებ მონაცემების შეგროვება და ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი დანაყოფების ხელმძღვანელებისათვის;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელება.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. არ იქნა დაცული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 15.03.04 წლის №153 ბრძანების მოთხოვნები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ასახვის შესახებ, რის შედეგად „არასაცხოვრებელი შენობების“ ღირებულება ზედმეტად არის გაზრდილი 80.0 ათასი ლარით-----გვ.9
2. მთავარი სამმართველოსა და მისი რაიონული დანაყოფების ადმინისტრაციული შენობების სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების კაპიტალიზაცია წარმოებდა შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ნაცვლად შესაბამის საანგარიშო პერიოდში „დაუმთავრებელი მშენებლობების“ ანგარიშზე ასახვისა-----გვ.9
3. 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ქ. თბილისის საქალაქო ბიუჯეტიდან მთავარი სამმართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსება სრულად არ არის ასახული ბალანსში-----გვ.11

4. მთავარ სამმართველოში ადგილი ქონდა თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების ზედმეტად დარიცხვას და გაცემას-----გვ.19
5. რიგ შემთხვევაში, სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაში ზედმეტად არის შეტანილი და ანაზღაურებული სოციალური და საშემოსავლო გადასახადების თანხები, რაც არ ყოფილა აღიარებული მოთხოვნების სახით-----გვ.20
6. მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტომატურად ტექნიკური მომსახურებისა და ამისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზე ხარჯების გაწევისას, ადგილი აქვს თანხების ზედმეტად გადახდის ფაქტებს-----გვ.19
7. რიგ შემთხვევაში, სატენდერო კომისიის წევრების დასკვნებში, პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შეფასებისას მოყვანილი არგუმენტები, უპირატესობის მინიჭების ან არ მინიჭების საფუძვლები არ დასტურდება არსებული მონაცემებით, ხოლო ფასთა კოტირების შედეგად გამარჯვებულად მიჩნეული მონაწილის განაცხადი სრულად არ შეესაბამება ფასთა კოტირების დოკუმენტაციის პირობებს-----გვ.24
8. 2008 წლის 23 სექტემბერს, სამმართველოს ბალანსზე რიცხული რუსული წარმოების ა/მანქანების და 2004 წლამდე გამოშვებული უცხოური ა/მანქანების ტექნიკური მომსახურების და ამ საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად მიჩნეული იქნა შპს „დიდი დილომი“, ნაცვლად შპს „კია მოტორს ჯორჯიასი“ -----გვ.25

ძირითადი ტექსტი

1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა დადგენილ ნორმებთან

1.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

მთავარი სამმართველოს მიერ შს სამინისტროში კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები (ბალანსები) წარდგენილია შს სამინისტროს მიერ დადგენილი ვადების დაცვით ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციათა ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად. თუმცა, 2009 წლის მე-2 კვარტლიდან (შესულია ცვლილება) არ ხორციელდებოდა ბალანსის დანართი ფორმა N5-1 ის - „ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ“ შევსება.¹

¹ შეუსრულებელია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და 1' პუნქტის მოთხოვნები

საბალანსო ანგარიშგება

	შენიშვნა	30/09/2008	31/12/2008	31/12/2009
ფინანსური და არაფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები				
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1	5.2	2.7	-
მოთხოვნები მივლინებით		0.3	-	
მოთხოვნები დანაკლისებით	2	31.5	31.3	32.6
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან		-	1,030.0	121.6
შენიშვნა-ნაგებობები	3	10,635.8	13,429.6	18,877.2
მანქანა დანადგარები და ინვენტარი		8,318.0	8,620.5	6,252.7
სხვა ძირითადი აქტივები		5.3	-	-
სხვა მატერიალური მარაგები	4	1,833.0	1,873.1	530.6
არაწარმოებული აქტივები	3		2,656.7	3,355.5
სულ აქტივები		20,829.1	27,643.9	29,170.0
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან		38.4	0.9	0.07
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		206.7	201.2	155.8
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	2	39.4	39.4	39.4
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის		1,490.3	1,485.2	1,447.5
ვალდებულებები მივლინებით		-	0.3	0.03
აღმასრულებელი ფურცლით და სხვა დაკავებები		3.0	3.6	3.0
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები		53.0	52.9	52.9
წმინდა ღირებულება	5	18,998.3	25,860.4	27,471.3
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,829.1	27,643.9	29,170.0
საცნობარო მუხლები:				
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში			716.1	3,122.8
ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	6		-	497.2
ვადაგადაცილებული დავალიანებები			1,783.5	1,698.7

შენიშვნა 1 - ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის უნივერსალობისა და კონსოლიდირების პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად არ მომხდარა საანგარიშო პერიოდის ბოლოს სალაროში ნაშთად არსებული 2 700 ლარის დაბრუნება ხაზინის ერთიან ანგარიშზე ².

² არ იქნა შესრულებული „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

2009 წლის პირველი კვარტლის ბოლოს სალაროში ნაშთი არ ფიქსირდებოდა (გაცემულია მივლინებებზე). მე-4 კვარტალში ბანკიდან გამოტანილი იქნა სალაროში 37 500 ლარი (ოქტომბერში-29 500 ლარი, დეკემბერში-8 000 ლარი), რაც სრულად იქნა გაცემული, შესაბამისად, მატერიალური დახმარებისთვის და პრემირებისთვის. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სალაროში ნაშთი არ ფიქსირდებოდა.

შენიშვნა 2 დებიტორ-კრედიტორები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებებისა და დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების შესახებ ინფორმაციის თანახმად, 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე მოთხოვნები გაზრდილია და შეადგინა 1,061.3 ათასი ლარი. აქედან, 1,030.0 ათასი ლარი წარმოადგენს შპს „ალუ“-სთვის სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის წინასწარ გადახდილ თანხას, რომელიც ანაზღაურებული იქნა 2009 წლის განმავლობაში. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დავალიანებამ შეადგინა 154.1 ათასი ლარი. მათ შორის: შპს „APS“-სთვის (ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა) და შპს „ემ კომპანი“-სათვის (მანათობელი ასოების შეძენა და მონტაჟი) გადარიცხული, შესაბამისად, 79.8 ათასი და 41.8 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები წარმოადგენს 2009 წლის 29 დეკემბერს ქ. თბილისის (მერიის) ბიუჯეტიდან წინასწარ გადახდილ თანხებს, რომელთა გადახდის ვადა იწურებოდა 2010 წლის 30 იანვარს.

2008 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მთავარი სამმართველოს ბალანსზე ირიცხებოდა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი 31.5 ათასი ლარის სხვადასხვა მატერიალური ფასეულობების დანაკლისი, ხოლო 2009 წლის ინვენტარიზაციით დაფიქსირებული 6.2 ათასი ლარის სააღრიცხვო მონაცემებთან სხვაობისა და 5.1 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობების აღდგენის გათვალისწინებით, 2010 წლის 1 იანვრისათვის დანაკლისი შეადგენდა 32.5 ათას ლარს. როგორც გაირკვა, აღნიშნულთან დაკავშირებით მასალები გადაგზავნილია შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში.

დებიტორული დავალიანებების ცვლილება:

მოთხოვნები	01.01.2010	01.01.2009	01.10.2008
მოთხოვნები მივლინებით	-	-	0.3
მოთხოვნები დანაკლისებით	32.5	31.3	31.5
შპს „ალუ“	-	1,030.0	-
შპს „APS“	79.8	-	-
შპს „ემ კომპანი“	41.8	-	-
სულ	154.1	1,061.3	31.8

კრედიტორული დავალიანება აუდიტის პერიოდში შემცირებულია და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 1,698.7 ათას ლარს, მათ შორის, 1,695.6 ათასი ლარის დავალიანება მომდინარეობს 1998-2004 წლებიდან (აღნიშნული თანხა წარმოადგენს სახელფასო დავალიანებებს - მთლიანი დავალიანების 99,8%).

ვალდებულებების ცვლილება:

ვალდებულებები	01.01.2010	01.01.2009	01.10.2008
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	0.066	0.867	38.5
გადასახდელი ხელფასები, საშემოსავლო და სხვა ვალ-ები	1,642.7	1,726.2	1,736.4
ალიმენტი (აღსრულების თანხები)	3.0	3.6	3.0
სხვა დანარჩენი (ხელფასიდან ელ.ენერგიის თანხები)	52.9	52.9	52.9
სულ	1,698.7	1,783.5	1,830.8

შენიშვნა 3 - ძირითადი და არაწარმოებული აქტივები

მთავარ სამმართველოს, 2008 წლის 1 ოქტომბრისათვის, საბალანსო მონაცემებით ერიცხებოდა 18,959.1 ათასი ლარის ძირითადი აქტივები. ამავე პერიოდიდან 2009 წლის 1 იანვრამდე შემოსავალში აღრიცხულია 11,388.3 ათასი ლარის ძირითადი და 3,531.9 ათასი ლარის არაწარმოებული აქტივები (მიწა), ხოლო გასავალში - 5,015.6 ათასი ლარის ძირითადი და 176.4 ათასი ლარის არაწარმოებული აქტივების ღირებულება, რის შედეგადაც 2010 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი აქტივებისა (ნარჩენი ღირებულებით) და მიწის საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 28,485.5 ათასი ლარი:

არაფინანსური აქტივების დასახელება	არასაცხ-ლი შენიშვნები	სხვა ნაგებობები	სატრანსპორ ტო საშ-ები	მანქანა/და ნადგ-ები	სხვა ძირ. აქტივები	ათას ლარებში	
						მიწა	სულ
ნაშთი 01. 10. 08 წ.	10,433.1	202.7	5,349.2	2,968.8	5.3	-	18,959.1
მიღება:							14,920.2
შესყიდვა	5,445.5	-	254.9	1,178.1	-	-	6,878.5
უსასყიდლოდ	3,388.5	5.4	1,053.1	58.4	-	3,530.8	8,032.2
სხვა ეკ. ნაკადები	-	-	-	4.4	-	1.1	5.5
გასვლა:							5,174.0
გაყიდვა	-	-	453.7	-	-	-	435.7
უსასყიდლოდ	-	-	246.6	970.9	5.3	176.4	1,399.2
სხვა ეკ. ნაკადები	18.7	1.1	93.0	50.8	-	-	163.6
ძირ.კაპ-ის მოხმარება	376.4	-	1,863.2	935.9	-	-	3,175.5
ნაშთი 01.01.2010წ.	18,872.0	5.3	4,000.7	2,252.0	-	3,355.5	28,485.5

2008 წლის 1 ოქტომბრისათვის „სხვა ნაგებობების“ ანგარიშზე ნაშთად ირიცხებოდა 202.7 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 2 ოქტომბრის N1710.580 დადგენილებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 9 დეკემბრის N1-1/2080 ბრძანების საფუძველზე მიღებულ მიწის ღირებულებას. იგი არასწორად იქნა მიკუთვნებული აღნიშნულ აქტივს (სხვა ნაგებობებს) და 2008 წლის წლიურ ანგარიშგებაში შესაბამისი კორექტირების საფუძველზე ასახული იქნა „არაწარმოებული აქტივის“ (მიწა) ანგარიშზე. ასევე, 2008 წლის წლიური ბალანსის ნაშთები „შენიშვნა-ნაგებობებისა“ და „არაწარმოებული აქტივების“ ანგარიშებზე არ ემთხვევა 2009 წლის შესაბამისი ანგარიშების საწყის ნაშთებს, რაც გამოწვეული იყო 20.8 ათასი ლარის „არაწარმოებული აქტივების“ ანგარიშზე მიკუთვნებით, ნაცვლად „შენიშვნა-ნაგებობების“ ანგარიშისა.

2008 წლის წლიური ანგარიშგების მიხედვით უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი აქტივების ღირებულება შეადგენს 11,504.8 ათას ლარს, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N3-ში „წმინდა ღირებულების ანგარიშზე თანხების მოძრაობა“ N2100 ანგარიშზე - „უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი აქტივები“ აღრიცხულია 14,139.6 ათასი ლარის ოდენობით არაწარმოებული აქტივის ღირებულების ჩათვლით, ნაცვლად 2,635.9 ათასი ლარის ღირებულების მიწის N2400 ანგარიშზე ასახვისა.

2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მთავარი სამმართველოსა და მისი ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციული შენობების სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე გაწეულია 5,428.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით 5,264.5 ათასი ლარი, ხოლო ქ. თბილისის ბიუჯეტიდან - 163,7 ათასი ლარი. ფაქტობრივად განხორციელებულ გადახდებსა და ამავე პერიოდში ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ შესყიდვებს (ბალანსის დანართი ფორმა N5) შორის 17.2 ათასი ლარის სხვაობა გამოწვეულია ბალანსის შედგენის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენით. კერძოდ: 2008 წლის ოქტომბრამდე (24.09.08) შპს „საქპროექტარქიტექტურის“ მიერ შესრულებული 16.0 ათასი ლარის საპროექტო სამუშაოების ხარჯებში გატარებით, ნაცვლად „არასაცხოვრებელი შენობების“ ანგარიშზე ასახვისა; შპს „კასპიელექტროაპარატის“ მიერ მიწოდებული 2,4 ათასი ლარის მეტალის კარის „არასაცხოვრებელი შენობების“ ანგარიშზე გატარებით, ნაცვლად „მანქანა-დანადგარების“ ანგარიშზე ასახვისა და შპს „გეო-გრინის“ მიერ ადმინისტრაციული შენობების ტერიტორიის გამწვანების სამუშაოებისათვის ანაზღაურებული 1 223 ლარის ხარჯებში გატარებით, ნაცვლად „სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივების“ ანგარიშზე ასახვისა. შესაბამისად, „შენობა-ნაგებობების“ ანგარიშზე ასახულია 1 178 ლარით მეტი ღირებულება.³

გარდა ამისა, „არასაცხოვრებელი შენობების“ N2112 საბალანსო ანგარიში გაზრდილია შპს „გეო-გრინის“ და შპს „გამწვანება კრწანისის“ მიერ შესრულებული 78.8 ათასი ლარის ღირებულების ადმინისტრაციული შენობების ტერიტორიების გამწვანების სამუშაოებით, რომელიც უნდა ასახულიყო „სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივების“ N2150 საბალანსო ანგარიშზე.⁴ სულ „არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობების“ ღირებულება ზედმეტად არის გაზრდილი 80.0 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული მშენებლობები და კაპიტალური რემონტები (მთავარი სამმართველოს რაიონული დანაყოფები) აუდიტის პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა ეტაპობრივად, რომელთა კაპიტალიზაციაც წარმოებდა შესრულებული სამუშაოების მიხედვით,

³ აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის (დანართი N13, N14) მოთხოვნები, ასევე არ არის შესრულებული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები.

⁴ არ არის დაცული ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 22-ე მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნები.

არასაცხოვრებელი შენობების ღირებულებაში, ნაცვლად შესაბამის საანგარიშო პერიოდში „დაუმთავრებელი მშენებლობების“ ანგარიშზე ასახვისა.⁵

2008 წლის ბოლოს მთავარი სამმართველოს მიერ ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ნაწარმოებია შემცირებული ნაშთის მეთოდით. მოქმედი წესების თანახმად, ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის აქტივების მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთის თანხის სისტემატური (თანაბარზომიერი) განაწილებისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში შენობა-ნაგებობებზე ძირითადი კაპიტალის მოხმარება ფიზიკური ცვეთის სახით შეადგენდა 6.1 ათას ლარს, ნაცვლად 147.6 ათასი ლარისა, ა/სატრანსპორტო საშუალებებზე -556.4 ათასი ლარს, ნაცვლად 705.6 ათასი ლარისა.⁶ 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისი წესების მიხედვით განხორციელებულია კორექტირებები.

შენიშვნა 4 - მატერიალური მარაგები

დასახელება	ნაშთი 01.10.08	მიღება		გასვლა		ნაშთი 01.01.10
		შესყიდვა	უსასყიდლო	უსასყიდლო	ხარჯი	
სულ მატერიალური მარაგები. მათ შორის:	1,833.1	1,385.7	3,269.7	16.8	5,941.0	530.6
ფულადი დოკუმენტები						
ბენზინის ბარათები	33.6	-	1,983.0	-	2,009.6	7.0
დიზელის ბარათები	7.5	-	129.6	-	119.1	18
საფოსტო მარკები	4.9	31.8	-	-	29.3	7.4
სატელეფონო ბარათები	33.0	-	252.7	4.6	264.5	16.8
სულ:	79.2	31.8	2,365.3	4,6	2,422.4	49.2
სათადარიგო ნაწილები						
აკუმულატ/საბურავები	240.0	238.9	-	-	407.4	71.5
სხვა მატერიალური მარაგები						
საკანც/სამეურ/ელ.საქ-ლი	1,512.3	1,112.8	827.1	12.2	3,030.2	409.8
მედიკამენტები	1.5	1.3	-	-	2.9	-
მშრალი კვება	-	0.9	77.3	-	78.2	-
სულ	1,513.9	1,115.0	904.4	12.2	3,111.2	410.0

შენიშვნა 5 - წმინდა ღირებულება

2008 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მთავარი სამმართველოს კაპიტალი (წმინდა ღირებულება) შედგენდა 18,998.3 ათას ლარს, 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 25,860.4 ათას ლარს, ხოლო 2010 წლის 1 იანვრისათვის - 27,471.3 ათას ლარს:

⁵ არ არის დაცული ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 22-ე მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნები.

⁶ არ იქნა დაცული ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 50-ე მუხლის მე-44 პუნქტის მოთხოვნები.

	2008 წ. მე-4 კვ.	2009 წ.
ნაშთი - 01.10.2008	18,998.3	
ნაშთი - 01.01.2009		25,860.4
ზრდა		
მიღებული დაფინანსება	11,307.0	34,267.3
სხვა შემოსავლები	333.2	581.8
უსასყიდლოდ გადმოცემული ძირითადი აქტივები	3,978.5	2,960.0
უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგები	900,3	2,369.3
უსასყიდლოდ მიღებული არაწარმოებული აქტივები(მიწა)	-	895.9
სულ:	16,519.0	41,074.3
შემცირება		
ფაქტობრივი ხარჯი	9,614.6	37,478.9
უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი აქტივები	42.3	1,180.6
უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური მარაგები	-	16.8
უსასყიდლოდ გადაცემული არაწარმოებული აქტივები(მიწა)	-	176.4
სხვა ეკონომიკური ნაკადი (მოცულობითი ცვლილება)	-	610.8
სულ:	9,656.9	39,463.5
წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში	6,862.1	1,610.8
ნაშთი-01.01.2010 სულ წმინდა ღრებულება:		27,471.3

სხვა შემოსავლებში - 2009 წელს 581.8 ათასი ლარიდან ქ. თბილისის ბიუჯეტის დაფინანსება შეადგენდა 497.0 ათას ლარს, რომელიც უნდა ასახულიყო „გრანტების“ ანგარიშზე, როგორც სხვა დონის სახლმწიფო ერთეულისგან მიღებული ტრანსფერები. ამასთან, მთავარი სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ქ. თბილისის საბიუჯეტო შესრულების ანგარიშის მიხედვით (ხაზინის მონაცემები), 2009 წელს ქ. თბილისის საქალაქო ბიუჯეტიდან მთავარი სამმართველოსათვის დაფინანსება შეადგენდა 2,100.7 ათას ლარს. დანარჩენი 1,603.7 ათასი ლარი ბალანსში არ არის ასახული, თუმცა აღნიშნული თანხით მერიის მიერ ანაზღაურებულია მთავარი სამმართველოს კომუნალური, ვიტრაჟების წმენდის, ლიფტების მომსახურებისა და დეზინფექციის ხარჯები. ასევე, 2008 წლის მე-4 კვარტალში ბალანსში არ არის ასახული მერიიდან დაფინანსებული 538.5 ათასი ლარი. სულ, აუდიტის პერიოდში, ფინანსურ ანგარიშგებაში სისრულის, სიზუსტისა და გამჭვირვალობის მოთხოვნათა დაცვის საპასუხოდ, დაფინანსების სახით არ არის აღრიცხული 2,142.2 ათასი ლარი.⁷

ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა შემოსავლებში აღრიცხულია წინა პერიოდში საშემოსავლოს ანგარიშზე (N173 ანგ.) შეცდომით ასახული 47.1 ათასი ლარის დანაკლისის აღდგენა. ასევე საცნობარო მუხლიდან 1.3 ათასი ლარის დანაკლისების აღდგენა და საინკასო დავალების საფუძველზე ჩამოჭრილი ხელფასები 36.5 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული მოვლენები არ

⁷ არ იქნა დაცული ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-6, მე-7, მე-8 და მე-10 პუნქტის (14.04.09 წლის ცვლილებების გათვალისწინებით 47-მუხლის მე-6, მე-7, მე-8 და მე-13 პუნქტის) მოთხოვნები, ასევე, არ არის შესრულებული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები.

წარმოადგენენ ოპერაციის შედეგს და ამდენად, მათი ასახვა უნდა განხორციელებულიყო სხვა ეკონომიკური ნაკადების (მოცულობითი ცვლილებები) ანგარიშზე.⁸

სხვა ეკონომიკურ ნაკადებში - 610.8 ათასი ლარიდან, 592.1 ათასი ლარი წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ინვენტარის ჩამოწერის და ა/მანქანების ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის საპრივატიზაციოდ გადაცემის შედეგს, ხოლო 18.7 ათასი ლარი - ამავე სამინისტროსთვის დიდუბე/ჩუღურეთის რაიონული დანაყოფის შენობის გადაცემისას ფასის დაზუსტების შედეგს.

შენიშვნა 6 - საცნობარო მუხლი

ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლოატაციაში ასახულია სულ 3,122.8 ათასი ლარის მარაგი: 1,766.3 ათასი ლარის რბილი ინვენტარი (ფორმის ტანსაცმელი), 40.3 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკა (ქსეროქსები, პრინტერები, უწყვეტი კვების წყარო), 31.0 ათასი ლარის საყოფაცხოვრებო ტექნიკა (ტელევიზორი, მაცივარი, კონდენციონერი, წყლის პორტერი) და 1,285.2 ათასი ლარის სხვადასხვა სახის საოფისე ინვენტარი და სამეურნეო საქონელი.

ამორტიზირებულ ძირითად აქტივებში ასახულია 497.2 ათასი ლარის საშუალებები: 239.3 ათასი ლარის 17 ერთეული ა/სატრანსპორტო საშუალებები, 146.5 ათასი ლარის კავშირგაბმულობის საშუალებები, 98.6 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკა, 3.8 ათასი ლარის ვიდეო აპარატურა და 9.0 ათასი ლარის საოფისე ინვენტარი.

ვადაგადაცემად დაგვლიანებებში - საანგარიშო წლის წინა პერიოდში წარმოქმნილი და დაუფარავი 1,698.7 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება.

1.2 აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

საბუღალტრო სამსახურმა უზრუნველყოს ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით დროის განსაზღვრული მომენტისათვის აქტივების, ვალდებულებების და ნაკადების აღრიცხვა შესაბამის საბალანსო ანგარიშებზე.

2. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა და კანონიერება

2.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

2008 წლის საბიუჯეტო განაცხადი მთავარი სამმართველოს მიერ სამინისტროში წარდგენილია 17,759.8 ათას ლარზე. „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონებით ასიგნებები ქ. თბილისის მთავარი სამმართველოსთვის ცალკე ორგანიზაციული კოდით

⁸ არ იქნა დაცული ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის „გ“ პუნქტის, 68-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

განსაზღვრული არ ყოფილა. შს სამინისტროს მიერ სამმართველოს 2008 წლის ასიგნებები დაუმტკიცდა 27,533.1 ათასი ლარის ოდენობით (აღნიშნული გამოწვეულია მომუშავეთა რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების განაკვეთის გაზრდით).

2009 წლის საბიუჯეტო განაცხადი მთავარი სამმართველოს მიერ სამინისტროში წარდგენილია 34,184.6 ათას ლარზე. შს სამინისტროს მიერ სამმართველოს 2009 წლის ასიგნებები დაუმტკიცდა 31,532.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულ განწერაში მომუშავეთა რიცხოვნობა დამტკიცებული არ ყოფილა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შესრულების შესახებ ხაზინის ანგარიშის მიხედვით, სამმართველოს 2008 წლის მე-4 კვარტალის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგენა 11,307.0 ათასი ლარი, ხოლო 2009 წელს - 34,269.7 ათასი ლარი. აუდიტის პერიოდში საბიუჯეტო პარამეტრები და გაწეული საკასო - ფაქტობრივი ხარჯების მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

2008 წ IV- კვარტალი		ათას ლარებში		
დასახელება	დაზუსტ. გეგმა	გადახდა	ფაქტ. ხარჯი	სხვაობა (4-3)
1	2	3	4	5
<i>ქ.თბილისის მთ.სამმართველო</i>	<i>11,038.1</i>	<i>11,307.0</i>	-	-
ხარჯები:	7,862.2	8,085.4	9,614.6	1,529.2
შრომის ანაზღაურება-სულ	7,149.3	7,148.6	7,148.7	0.1
თანამდებობრივი სარგო	მ/ შორის	5,754.6	5,754.7	0.1
წოდებრივი სარგო		166.5	166.5	-
პრემია		527.7	527.7	-
დანამატი		699.8	699.8	-
საქონელი და მომსახურება-სულ	665.3	885.3	1,664.5	779.2
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.	მ ა თ შ ო რ ი ს	19.9	19.9	-
მივლინებები		17.0	20.0	3.0
ოფისის ხარჯები		437.4	478.0	40.6
წარმომადგენლობითი ხარჯები		1.2	1.2	-
სამედიცინო ხარჯები		1.4	0.9	-0.5
კვების ხარჯები		-	-	-
რბილ.ინვენ. და პირ. ჰიგ-ის საგ.		34.5	200.8	166.3
ტრანსპ. ტექ. ექსპლოატ. ხარჯები		353.2	941.5	588.3
სხვა დანარჩენი საქ და მომს-ბა		20.4	2.2	-18.2
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	0.0	-	885.5	885.5
სოც.უზრუნველყოფა	51.6	51.6	51.6	-
არაფინანსური აქტივების ზრდა:	3,175.9	3,221.6	0.0	-3,221.6
შენობა/ნაგებ-ბი (არასაცხოვ-ლი)	მ/ შორის	2,632.2	0.0	-2,632.2
მანქანა-დანადგარები და ინვენ-რი		589.4	0.0	-589.4

2009 წელი						ათას ლარებში	
დასახელება	დაზუსტებული გეგმა 2009წ.	გადახდა 2009წ.	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა		გადახდა 2008წ.	სხვაობა (3-7)
				(4-3)	%-ში		
1	2	3	4	5	6	7	8
ქ.თბილისის მთ.სამმართველო	34269.7	34267.3	37478.9	3211.6	109.4	32029.8	2237.5
ხარჯები:	31097.2	31094.8	37478.9	6384.1	120.5	28339.4	2755.4
შრომის ანაზღაურება-სულ	29046.0	29046.0	29046.2	0.2	100.0	26345.1	2700.9
თანამდებობრივი სარგო	მ/შორის	23308.8	23309.1	0.3	100.0	21319.5	1989.3
წოდებრივი სარგო		686.3	686.3	0.0	100.0	668.5	17.8
პრემია		2337.5	2337.5	0.0	100.0	1604.9	732.6
დანამატი		2713.4	2713.4	0.0	100.0	2752.2	-38.8
საქონელი და მომსახურება-სულ	1937.5	1935.2	5893.2	3958.0	304.5	1929.2	6.0
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.	მათ შორის	70.5	70.5	0.0	100.0	69.7	0.8
მივლინებები		110.5	113.0	2.5	102.3	92.9	17.6
ოფისის ხარჯები		781.2	2562.8	1781.6	328.1	856.1	-74.9
წარმომადგენლობითი ხარჯები		5.0	4.0	-1.0	80.0	7.5	-2.5
სამედიცინო ხარჯები		4.0	6.0	2.0	150.0	3.0	1.0
კვების ხარჯები		0.0	59.5	59.5	0.0	0.0	0.0
რბილ.ინვენ. და პირ. ჰიგ-ის საგ.		21.0	409.1	388.1	1948.1	63.7	-42.7
ტრანსპ. ტექ. ექსპლუატ. ხარჯები		866.4	2593.5	1727.1	299.3	782.5	83.9
სხვა დანარჩენი საქ და მომს-ბა		76.6	74.8	-1.8	97.7	53.6	23.0
ძირითადი კაპიტალის მოხმარება		0.0	2425.8	2425.8	0.0	0.0	0.0
სოც.უზრუნველყოფა	113.7	113.7	113.7	0.0	100.0	65.2	48.5
არაფინანსური აქტივების ზრდა:	3172.5	3172.5	0.0	-3172.5	0.0	3690.4	-517.9
შენობა/ნაგებ-ბი (არასაცხოვ-ლი)	მ/შორის	2632.3	0.0	-2632.3	0.0	2650.8	-18.5
მანქანა-დანადგარები და ინვენ-რი		540.2	0.0	-540.2	0.0	1039.6	-499.4

2008 წლის მე-4 კვარტალში საკასო ხარჯის მეტობა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით გამოწვეულია მე-3 კვარტალში აუთვისებელი რესურსის (201.0 ათასი ლარის არაფინანსური აქტივის და 50.0 ათასი ლარის საქონელი და მომსახურების მუხლში) მე-4 კვარტალში გადატანით.

საკასო ხარჯში ასახულია არაფინანსური აქტივების ზრდა, რომელიც ფაქტობრივ ხარჯებში არ აისახება, ვინაიდან აღნიშნულ ოპერაციებზე მიმართული სახსრები კაპიტალის წმინდა ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს. ასევე, ფაქტობრივ ხარჯში ასახულია ძირითადი კაპიტალის მოხმარება ფიზიკური ცვეთის სახით, რომელიც წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ნაერთ ანგარიშგებაში ფაქტობრივსა და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია:

ოფისის ხარჯში - შს სამინისტროდან და განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოდან ავიზოებით სასაუბრო ბარათების გადმოცემით, ასევე, მერიიდან მიღებული საკანცელარიო, ელექტრო და საყოფაცხოვრებო საქონლის ექსპლუატაციაში გადაცემით და ინვენტარიზაციის დროს მცირეფასიანი ინვენტარის და სასაუბრო ბარათების ჩამოწერით.

წარმომადგენლობითი ხარჯებში - ანგარიშზე საწყისი ნაშთის არსებობით, რომელთა გახარჯვა არ მომხდარა.

კვების ხარჯები - მთლიანად მიღებულია განსაკუთრებული დავალებათა სამმართველოდან უსასყიდლოდ მშრალი ულუფის სახით.

სამედიცინო ხარჯები - წინა წელს საბალანსო ანგარიშზე არსებული მედიკამენტების მიმდინარე წელს ჩამოწერით.

რბილი ინვენტარი და უნიფორმები - შსს-დან და განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოდან ავიზოებით უსასყიდლოდ მიღებული ინვენტარის ექსპლოატაციაში გადაცემით.

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯები - შსს-დან გადმოცემული საწვავის ტალონების ფაქტობრივ ხარჯში ასახვით და ანგარიშზე არსებული სათადარიგო ნაწილების ჩამოწერით.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - ანგარიშზე ნაშთად რიცხული სამგზავრო ბარათებით.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის გადახდებზე 2008წლის 1 ოქტომბრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე:

შრომის ანაზღაურება

მთავარი სამმართველოები		სულ შრ.ანაზ.	თანამდ-ვი სარგო	წოდებრი ვი სარგო	დანამატი	პრემია
ქ.თბილისის მთავარი სამმ-ლო	2008 –IV კვ.	1,329.2	938.0	32.3	127.4	231.5
	2009წ	5,314.9	3,658.1	125.2	438.0	1,093.6
ვაკე-საბურთალოს სამმ-ლო	2008 –IV კვ.	1,194.6	1,000.2	28.5	119.0	46.9
	2009წ	4,839.9	4,019.4	114.4	452.7	253.4
ისანი-სამგორის სამმ-ლო	2008 –IV კვ.	1,576.3	1,294.0	36.0	153.5	92.8
	2009წ	6,251.3	5,223.4	147.7	604.5	275.7
გლდანი-ნაძალადევი სამმ-ლო	2008 –IV კვ.	1,408.8	1,167.5	31.5	136.5	73.3
	2009წ	5,836.9	4,857.6	134.6	550.4	294.3
დიდუბე-ჩუღურეთი სამმ-ლო	2008 –IV კვ.	676.8	553.6	15.9	69.8	37.5
	2009წ	2,858.3	2,291.1	69.1	285.3	212.8
ძველი თბილისის სამმ-ლო	2008 –IV კვ.	963.1	801.4	22.4	93.6	45.7
	2009წ	3,944.8	3,259.4	95.3	382.3	207.8
სულ-2008წ მე-4 კვარტალი -საშტ.ერთ-1991		7,148.7	5,754.7	166.5	699.9	527.7
სულ- 2009 წელი -საშტ.ერთ-2035		29,046.0	23,309.0	686.3	2,713.30	2,337.5
სულ აუდიტის პერიოდში:		36,194.7	29,063.7	852.8	3,413.2	2,865.2
უმალესი ხელფასი შეადგენდა - 2680 ლარს				უმცირესი ხელფასი - 310 ლარს		

2008 წლის მე-4 კვარტალში შტატგარეშე მოსამსახურეთათვის გაწეულია 19.9 ათასი ლარის ხარჯი, სოციალურმა დახმარებამ შეადგინა 51.6 ათასი ლარი.

2009 წელს შტატგარეშე მოსამსახურეთათვის გაწეული იქნა 70.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი, სოციალური დახმარება შეადგენდა 113.7 ათასი ლარი.

ოფისის ხარჯები

2008 წლის მე-4 კვარტალში შეადგენდა 437,4 ათას ლარს. მათ შორის: კავშირგაბმულობა-3,4 ათასი ლარი, ინტერნეტმომსახურება-1,3 ათასი ლარი, საკაბელო ტელევიზია- 2,8 ათასი ლარი, პოლიგრაფიული მომსახურება-3,2 ათასი ლარი, საკანცელარიო-სამეურნეო და ელ.საქონელი- 95,5 ათასი ლარი, საოფისე ინვენტარი-167,3 ათასი, კანალიზაციის მიმდინარე სამუშაოები-5,1 ათასი, საქვავის მომსახურება-3,1ათასი, მიმდინარე რემონტის ხარჯი-110,9 ათასი, ლაითბოქსები

და განათება-21,9 ათასი, კატრიჯები-9,1 ათასი, კომპიუტერული აქსესუარები და მიმდინარე რემონტი-10,3 ათასი, საფოსტო მარკები-3,6 ათასი ლარი.

2009 წელი- სულ 781,2 ათასი ლარი. მათ შორის: კავშირგაბმულობის ხარჯები-17,6 ათასი, ინტერნეტმომსახურება- 18,0 ათასი, საკანცელარიო-სამეურნეო და ელ.საქონელი-235,3 ათასი, საოფისე ინვენტარი-289,4 ათასი, კანალიზაციის მიმდინარე სამუშაოების და საქვების მომსახურების ხარჯები-61,5 ათასი, ლაითბოქსები-25,9 ათასი, კომპიუტერული აქსესუარები, კატრიჯები და მათი დატენვა-108,5 ათასი, საფოსტო მარკები-25,0 ათასი ლარი.

მივლინებები

2008 წლის მე-4 კვარტალში გაწეული 17,0 ათასი ლარის ხარჯიდან, ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეადგენდა 10,9 ათასი ლარს, ხოლო ქვეყნის შიგნით-6,1 ათას ლარს.

2009 წელს სულ: 110,5 ათასი ლარი- შესაბამისად, 5,4 ათასი და 105,1 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი ხარჯი

2008 წლის მე-4 კვარტალში შეადგენდა 1,2 ათას ლარს (სტუმრების მიღება).

2009 წელს - 5,0 ათასი ლარი.

სამედიცინო ხარჯები

2008 წლის მე-4 კვარტალში შეადგენდა 1,4 ათას ლარს (მედიკამენტები).

2009 წელს - 4,0 ათას ლარს (მედიკამენტები).

რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯები

2008 წლის მე-4 კვარტალში შეადგენდა 34,5 ათას ლარს: მათ შორის, თეთრეულის-23,8 ათასი და ფარდების-10,7 ათასი ლარი.

2009 წელს - სულ 20,9 ათასი ლარი. მათ შორის: თეთრეული -0,4 ათასი, ფარდა-ქაღალუხები - 20,0 ათასი, სპორტული ფორმა - 0,5 ათასი ლარი.

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

2008 წლის მე-4 კვარტალში შეადგენდა 353,2 ათას ლარს. მათ შორის: ავტოტრანსპორტის შეკეთება-305,9 ათასი ლარი, ა/ნაწილების შეძენა-44,5 ათასი ლარი და სატრანსპორტო გადაზიდვები -2,8 ათასი ლარი.

2009 წელს - სულ 866,4 ათასი ლარი. მათ შორის: ა/ნაწილების შეძენა-194,3 ათასი, ა/ტრანსპორტის შეკეთება - 657,1 ათასი, სატრანსპორტო გადაზიდვები-8,0 ათასი, ლიფტების მომსახურება - 1,9 ათასი ლარი და 5,1 ათასი ლარის ა/მანქანის სპეციალური სითხე (ანტიფრიზი, ზეთი, გამოხდილი წყალი).

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

2008 წლის მე-4 კვარტალში გაწეული საკასო ხარჯი შეადგენდა 20,6 ათას ლარს. მათ შორის: ექსპერტიზის ხარჯი-0,7 ათას, გლდანი-ნამალადევის მე-3 განყოფილების აუდიტის მომსახურება-3,7 ათას, შენობის იჯარის ღირებულება-6,0 ათას, თარჯიმნის მომსახურება-1,4 ათას, ფართის აზომვითი ნახაზის ღირებულება-1,4 ათას, გაზის სისტემის პროექტის ღირებულება-3,7 ათას, გაზეთში განცხადების განთავსება-0,9 ათას, ლიფტების სისტემის მონტაჟი-0,5 ათას და სამგზავრო ბარათების ღირებულება-2,3 ათას ლარს.

2009 წელს - სულ: 76,6 ათასი ლარი. მათ შორის: აუდიტორული მომსახურება-2,6 ათასი, ექსპერტიზის ღირებულება-3,2 ათასი, თარჯიმნის მომსახურება-2,5 ათასი, სამგზავრო

ბარათები-41,4 ათასი, ლიფტების დაშვების ბარათები-0.8 ათასი, იჯარის ღირებულება-10.5 ათასი, განცხადებების გამოქვეყნებისა და კადრების გადამზადების ხარჯი-15,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა

2008 წლის მე-4 კვარტალში არაფინანსური აქტივების ზრადაზე მიმართული იყო 3,221.6 ათასი ლარი, მათ შორის, არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობაზე - 2,632.2 ათასი, საოფისე ინვენტარის შეძენაზე-35,0 ათასი, საოფისე ტექნიკის-182,3 ათასი, სარეკლამო აბრებისა და ლაითბოქსების-79,4 ათასი, დიზელ-გენერატორის შეძენაზე-147.8 ათასი, საქვების შეძენაზე - 144,9 ათასი ლარი.

2009 წელს - სამმართველოს ოფისების მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2,632.3 ათასი, საოფისე ინვენტარი და სათვალთვალო კამერები-292.0 ათასი, ლაითბოქსები-22,4 ათასი, კომპიუტერები, კონდენციონერები და ტელევიზორები - 225,8 ათასი ლარი, სულ 3172.5 ლარი.


გარდა ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა აუდიტის პერიოდში მთავარ სამმართველოს ქ. თბილისის ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 2,980.8 ათასი ლარი. მათ შორის:

	2008 წლის IV კვარტალი							ათას ლარებში	
დასახელება	წლიური დაზუსტებული გეგმა	გადახდა	მათ შორის:						
			კომუნალური	ლიფტების მომსახ	ვიტრ-ბის წმენდა	სატრ-ტო საშ-ბის შეძენა	საოფისე ავეჯის შეძენა	მშენებლო ბა და რეკონსტრუქცია	ოფის.ხარჯი
			ხარჯები, რომელიც ბალანსში არ ასახულია						
ადგილობრივი ბიუჯეტში ქ.თბილისის მთ.სამმართველოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები	2097.0	880.1	517.0	21.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
			ბალანსში ასახული მუხლები						
			0.0	0.0	0.0	254.9	33.1	38.1	15.5
			2009წელი						
			ხარჯები, რომელიც ბალანსში არ ასახულია						
	2105.0	2100.7	1537.1	46.1	20.3	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსში ასახული მუხლები									
0.0			0.0	0.0	79.8	109.6	125.6	182.2	
სულ		2980.8	2054.1	67.6	20.3	334.7	142.7	163.7	197.7


ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით შესრულებულია 163.7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, შეძენილია 254,9 ათასი ლარის 8 ერთეული ავტომანქანა (4 „ტოიოტა კოროლა“ 116.3 ათასი ლარის და 4 „ჰიუნდაი ტუქსონი“ 138.6 ათასი ლარის), ხოლო 2009 წლის 29 დეკემბერს წინასწარ გადახდილია შპს „APS“-სთვის 79.8 ათასი ლარი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესაძენად.

აუდიტის პერიოდში, საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის საკასო შესრულებამ მთლიან გადახდებთან მიმართებით შემდეგი სახე მიიღო:

ცენტრალური ბიუჯეტი: 45,574.3 ათასი ლარი



ქ. თბილისის ბიუჯეტი - მერია: 2,980.8 ათასი ლარი



მთავარი სამმართველოს ბალანსზე აუდიტის პერიოდში ირიცხებოდა ნულოვანი ნარჩენი ღირებულების ზილ-130 მარკის სატვირთო ა/მანქანა (სახელმწიფო ნომერი FNF-469), რომელზეც გახარჯულია 8 519 ლარის 6 270 ლიტრი საწვავი (ბენზინი).

მოქმედი წესების შესაბამისად, სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის აღრიცხვის ერთ-ერთ დოკუმენტს წარმოადგენს საგზურის ფურცელი, რომლის დადგენილი ფორმა ითვალისწინებს ავტოსატრანსპორტის გადაადგილების მარშრუტის აღნიშვნას საწვავის ხარჯვისას. აღნიშნული ა/მანქანის ექსპლუატაციაზე შედგენილი საგზურის ფურცლებში კი არ არის გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტის გადაადგილების მარშრუტის აღნიშვნა. შესაბამისად, დოკუმენტურად ვერ დგინდება, თუ რა დანიშნულებით და მიმართულებებით გადაადგილდებოდა სატვირთო ა/მანქანა. ამ მხრივ, მთავარ სამმართველოში არ წარმოებს სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გასვლის და

შემოსვლის ჟურნალი, სადაც, სხვა მონაცემებთან ერთად, აღინიშნება ავტოტრანსპორტის მოძრაობისას მისი დანიშნულების ადგილი.⁹

აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური განმარტების თანახმად, მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ზილ-130 მარკის სატვირთო ა/მანქანის გადაადგილების მარშრუტი საგზურის ფურცლებში არ იყო მითითებული, რადგან მისი მოძრაობა ხორციელდებოდა მთავარ სამმართველოს სამმართველოებსა და განყოფილებებს შორის სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად, მთავარი სამმართველოს სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

აუდიტის პერიოდში, მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების ტექნიკური მომსახურებისა და ამისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზე გაწეული ხარჯების შემოწმებით გამოვლინდა თანხების ზედმეტად გადახდის ფაქტები, კერძოდ, შპს „იბერია სერვის“-თან დადებული 16.04.08 წლის N59 (რომლის შესრულება ნაწილობრივ განხორციელდა აუდიტის პერიოდში), 12.11.08 წლის N173, 19.02.09 წლის N17, 01.04.09 წლის N54 ხელშეკრულებების მიხედვით, „შკოდა ოქტავია“-ს და „ფოლცვაგენ პასატის“ მარკის ა/მანქანების შეკეთებისას, სათადარიგო ნაწილების ღირებულება ანაზღაურებულია მეტი ოდენობით, ვიდრე ხელშეკრულებებით იყო გათვალისწინებული. ხელშეკრულებების თანახმად, „შკოდა ოქტავია“-ს მარკის ა/მანქანის სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასები შეადგენდა: ზეთის ფილტრი - 25 ლარი (გადახდილია 30 ლარი); საწვავის ფილტრი - 50 ლარი (გადახდილია 56 ლარი); ჰაერის ფილტრი - 50 ლარი (გადახდილია 65 ლარი); წინა ხუნდები - 110 ლარი (გადახდილია 120 ლარი); უკანა ხუნდები - 110 ლარი (გადახდილია 135 ლარი). „ფოლცვაგენ პასატის“ მარკის ა/მანქანის წინა და უკანა ამორტიზატორების ერთეულის ფასი შეადგენდა 140 ლარს, გადახდილია 350 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე (31.10.08 წლის N3238649, 29.11.08 წლის N3238714, 29.11.08 წლის N3238715, 16.12.08 წლის N3611096, 25.12.08 წლის N3611141, 27.02.09 წლის N3611267, 18.03.09 წლის N3611300, 30.04.09 წლის N3937633, 20.05.09 წლის N3937671, 29.06.09 წლის N4128022, 30.06.09 წლის N4128025, 31.07.09 წლის N4290444 და 31.08.09 წლის N4290528 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები) ზედმეტად ანაზღაურებულია სულ 4 355 ლარი.

აუდიტის პერიოდში, წინასწარ გადახდილ თანხებზე, რიგ შემთხვევაში, დამოწმების დოკუმენტები ხაზინაში წარდგენილია საგადახდო მოთხოვნაში განსაზღვრული ვადების გადაცილებით: 2008 წელს (მე-4კვარტალი) დამოწმების დოკუმენტები ხაზინაში 6 შემთხვევაში (1,157,598 ლარზე, მათ შორის, მშენებლობაზე - 900,000ლარი) წარდგენილია 1-10 დღის დაგვიანებით, ხოლო 2009 წელს , 41 შემთხვევაში (517,545 ლარზე, მათ შორის, მშენებლობაზე- 500,000 ლარზე) 5-30 დღის დაგვიანებით.¹⁰

⁹ არ არის შესრულებული შს მინისტრის 10.07.07 წლის N960 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შს სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვისა და ექსპლუატაციის შესახებ“ დებულების მე-8 მუხლის“ მოთხოვნები.

¹⁰ არ არის შესრულებული ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1318 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

მთავარ სამმართველოში ადგილი აქვს თანამშრომლებზე ზედმეტად გაცემული თანხების დაბრუნების ფაქტებს, რაც გამოწვეულია თანამშრომელთა გათავისუფლების შესახებ ბრძანებების ბუღალტერიისათვის დაგვიანებით მიწოდებით. აღნიშნული ფაქტი იწვევდა შრომის ანაზღაურებაზე ზედმეტად დარიცხვას და გაცემას, რის გამოც სულ აუდიტის პერიოდში დასაბრუნებელი თანხა შეადგენდა 13 330.86 ლარს, დაბრუნებულია ზედმეტად გაცემული 11 795.11 ლარი, ხოლო 2010 წლის 1 იანვრისათვის დასაბრუნებელი თანხა შეადგენდა 1535.75 ლარს. ამასთან, მთავარი სამმართველო არ ახდენდა ზედმეტად დარიცხული თანხების (მოთხოვნების) აღიარებას შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ასევე, რიგ შემთხვევაში, სამუშაოებზე შედგენილი ხარჯთაღრიცხვებიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო ღირებულებაში ზედმეტად არის შეტანილი სოციალური ანარიცხის თანხები მაშინ, როდესაც სოციალური გადასახადი 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმებული იქნა, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ხელფასის თანხაზე დამატებულია საშემოსავლო გადასახადის თანხა მაშინ, როდესაც საშემოსავლო გადასახადის დაკავება ხდება დარიცხული ხელფასიდან. შედეგად, აუდიტის პერიოდში ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ 5 233.09 ლარი შეადგინა. აღნიშნული საკითხი განხილულია შესყიდვების ნაწილში.

ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აუდიარებული მოთხოვნა შეადგენდა 6 768.84 ლარს, რაც იწვევდა ფინანსური ანგარიშგების უზუსტობას.¹¹

2.2 აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

- დაცული იქნეს „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 15.03.04 წლის №153 ბრძანების მოთხოვნები შესაბამისი მუხლების მიხედვით ხარჯების ასახვის შესახებ;
- მოხდეს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წამოშობილი მოთხოვნების აღიარება და შესაბამისი პერიოდში მათი ასახვა;
- მთავარმა სამმართველომ უზრუნველყოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაციების ჩატარება;
- დაცული იქნას შს მინისტრის 10.07.07 წლის №960 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნები სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის აღრიცხვასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას საწვავის ხარჯვაზე ქმედითი კონტროლის განხორციელება;
- მოწოდებული მომსახურების ანაზღაურებისას, ზედმიწევნით დეტალურად იქნას ურთიერთშედარებული, გაწეული მომსახურებისათვის მიმწოდებლის მიერ

¹¹ აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-5 პუნქტების მოთხოვნები.

წარმოდგენილი და შესაბამისი ხელშეკრულებებით დადგენილი ფასები, რათა გამოირიცხოს ზედმეტი თანხების გადახდა.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1318 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესრულების მიზნით, წინასწარი გადახდების დამოწმება განხორციელდეს საგადახდო მოთხოვნაში განსაზღვრული ვადების დაცვით.

3. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან

3.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

აუდიტის პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში მთავარ სამმართველოს გაფორმებული აქვს 252 ხელშეკრულება 8 546.4 ათას ლარზე. მათ შორის, შესყიდვის საშუალებების მიხედვით:

შესყიდვის საშუალება	2008 წელი				2009 წელი			
	რაოდენობა	ხელშე-ბა	თანხა	ფაქტ. ხარჯი	რაოდენო-ბა	ხელშეკ-ება	თანხა	ფაქტ. ხარ-ჯი
ტენდერი	2	2	237598	237597.96	6	8	3137187.33	3137187.33
ფასთა კოტირება	4	4	140334	140334	7	11	396660.04	396660.04
ერთ პირთან მოლაპარაკება	52	52	3456149.42	3274956.36	175	175	1178485.32	1392806.02
სულ	58	58	3834081.42	3652888.32	188	194	4712332.69	4926653.39
წელი	შესყიდვის საშუალება	რაოდენ-ობა	შესყიდვის ობიექტი		ლოტი	გამარჯვებული		სახელშე-თანხა
2008 წელი	ტენდერი	2	რუსული წარმოების ა/მანქანების ტექნიკური მომსახურება და ს/ნაწილები		1	შპს „დიდი-დილომი“		100000
			კომპიუტერული ტექნიკა		1	შპს „ალგორითმი“		137598
	ფასთა კოტირება	4	მოცულობითი მანათობელი ასოები და გერბები		1	შპს „ორიენტ“		42746
			„ფოლცვაგენი-ჯეტას“ და „შკოდა ოქტავიას“ მარკის ა/მანქანების მომსახურება და ს/ნაწილები		1	შპს „იბერიასერვისი“		40000
			რკინის კარადები		1	ს/ს „კასპიელექტროაპარატი“		31080
			კონდიციონერები		1	შპს „გაბ ჯგუფი“		26508
2009 წელი	ტენდერი	6	ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ახალი ადმინ-ლი შენობის სამშენებლო სარემონტო სამუშაო		4	შპს „დავითი“		1836938.8

			ვაკე-საბურთალოს III განყოფილების ადმინ-ლი შენობის სარეკ-ციო სამშ/სარ. სამუშაო		შპს „დავითი“	448216.53
			მთ. სამმართველოს ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე ასფალტის საფარის დაგება.		მეორედ გამოცხადდა	
			მთ. სამმართველოს ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე რკინის ბეტონის ღობის და მსუბუქი კონსტრუქციების ავტოსამრეცხაოს მოწყობა		შპს „ალე“	59826
			ა/მანქანების ტექნიკური მომსახურება ამ საქმიანობისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილები	2	შპს „იბერიასერვისი“	215021
					შპს „ნ666“	271120
			საბურავების შესყიდვა	1	შპს „თეგეტა მოტორსი“	174953
			შსს ქობილისის მთავარი სამმართველოს ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე ასფალტის საფარის დაგება.	1	შეწყდა	
			კარტრიჯების შესყიდვა	1	შპს „მიკროტექი“	79686
			8571 ცალი ქსეროქსის ქაღალდის შესყიდვა	1	შპს „ჯ.ე.პ“	51426
	ფასთა კოტირება	7	ვაკე-საბ. სამმ. აღმ შენო პროექტები	2	შპს „თოფი“	42500
			ვაკე-საბუ III განე აღმ.შენ პროექტები		შპს „მონოლითი“	18000
			კავშირგაბმულობის საშუალებები	1	შპს „ მზე“	73982
			გარეპერიმეტრის მეთვალყურეობის სისტემა	8	შპს „პოლდინგური კომპანია ნაიტეკი“	49284.52
					შპს „ ჯორჯია ინტერნეიშენელ კომუნიკეიშენ“	45030.1
			კომპიუტერული ტექნიკა	3	შპს „ალტა“	26775
					შპს „ორიენტ ლოჯიკი“	4666

		ავტოსადგომის გარეპერიმეტრის მეთვალყურეობის სისტემა	1	შპს „ჰოლდინგური კომპანია ნაიტეკი“	4761.78
		კომპიუტერული ტექნიკა	3	შპს „ალტა“	78975
				შპს „იუ-ჯი-თი“	8100
		საოფისე ავეჯი	1	ინდ/მეწარმე ედუარდ ავეტიკიანი	44586

აუდიტის პერიოდში ქ.თბილისის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში მთავარ სამმართველოს გაფორმებული აქვს 66 ხელშეკრულება 875.4 ათას ლარზე. მათ შორის, შესყიდვის საშუალებების მიხედვით:

შესყიდვის საშუალება	2008 წელი				2009 წელი			
	რაოდენ ობა	ხელშეკ რულება	თანხა	ფაქტ.ხარ ჯი	რაოდენ ობა	ხელშეკრ ულება	თანხა	ფაქტ.ხარჯი
ფასთა კოტირება					2	5	140124	140124
ერთ პირთან მოლაპარაკება	10	10	307326.99	307326.99	51	51	427945.6	533820.92
სულ	10	10	307326.99	307326.99	53	56	568069.6	673944.92

წელი	შესყიდვ ის საშუალე ბა	რაოდენ ობა	შესყიდვის ობიექტი	ლოტი	გამარჯვებული	სახელშ თანხა
2009	ფასთა კოტირებ ა	2	კომპიუტერული ტექნიკა	4	შპს „ეფ-ბი-აი“	4000
					შპს „ალტა“	706
					შპს „პისიშოპჯი“	5058
			3 ერთეული ავტომანქანა	1	შპს „A.P.S“	79800

მთავარი სამმართველოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების აუდიტით გამოვლინდა შემდეგი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებები, კერძოდ:

– საქართველოს შს მინისტრის 8.02.06 წლის N159 ბრძანების თანახმად, შს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს მიენიჭათ უფლებამოსილება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განხორციელონ სახელმწიფო შესყიდვები საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში. ამავე ბრძანებით სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოების შესაბამის საფინანსო-სამეურნეო დანაყოფებს დაევაღათ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტების ხელმძღვანელთა მიერ დამტკიცებამდე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენამდე 15 დღით ადრე პროექტი შეუთანხმონ სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოს და იურიდიული სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს.

მთავარი სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების 2009 წლის გეგმის პროექტის წინასწარი შეთანხმება სამინისტროსთან დოკუმენტურად არ დასტურდება;¹²

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიის წევრის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს ის პრეტენდენტი, რომელსაც კომისიის წევრი ანიჭებს უპირატესობას, აგრეთვე უპირატესობის მინიჭების საფუძვლები.

დებულების 22-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ფასთა კოტირების საშუალებით საქონლის, მომსახურების და მცირე სახის სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში, გამარჯვებულად მიიჩნევა მონაწილე, რომლის განაცხადი სრულად შეესაბამება ფასთა კოტირების დოკუმენტაციის პირობებს და აქვს უმცირესი ფასი.

აუდიტით დადგინდა, რომ რიგ შემთხვევაში, სატენდერო კომისიის წევრების დასკვნებში, პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შეფასებისას მოყვანილი არგუმენტები, უპირატესობის მინიჭების ან არ მინიჭების საფუძვლები არ დასტურდება არსებული მონაცემებით, ხოლო ფასთა კოტირების შედეგად გამარჯვებულად მიჩნეული მონაწილის განაცხადი სრულად არ შეესაბამება ფასთა კოტირების დოკუმენტაციის პირობებს, კერძოდ:

- 2009 წლის 19 თებერვალს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში N1 ლოტში (ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაო) და N2 ლოტში (ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს III განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო, სამშენებლო-სარემონტო სამუშაო) გამარჯვებულად ცნობილი იქნა შპს „დავითი“, რომელთანაც 2009 წლის 30 მარტს, ლოტების მიხედვით, გაფორმდა ხელშეკრულებები, შესაბამისად, N51 - 1 236 938 ლარის და N52 - 435 392 ლარის ღირებულების სამუშაოებზე (შეფასების ცხრილებში N2 ლოტზე ღირებულება შეცდომით მითითებულია 435 970).

სატენდერო კომისიის წევრთა დასკვნებში, შპს „დავითის“ ძირითად კონკურენტთან - შპს „გილმარი-2“ -თან შედარებისას (ამ უკანასკნელის სატენდერო წინადადების ფასი N1 ლოტზე შეადგენდა 883 177.81 ლარს, ხოლო N2 ლოტზე - 310 570 ლარს), უპირატესობის მინიჭების ერთ-ერთ საფუძვლად აღნიშნულია ის გარემოება, რომ შპს „გილმარი-2“-მა, წარმოდგენილ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვაში, არ შეიტანა გაუთვალისწინებელი ხარჯები, რითაც ხელოვნურად შეამცირა და არარეალური გახადა შესრულების ფასები, ურომლისოდაც არ არსებობს სერიოზული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ შპს „დავითის“ მიერ ორივე ლოტზე წარმოდგენილ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვაში „გაუთვალისწინებელი ხარჯები“ საერთოდ არ ფიგურირებს მაშინ, როდესაც შპს „გილმარი-2“ -ის მიერ N2 ლოტზე წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში (ლოკალური ხარჯთაღრიცხვა N1), სამუშაოთა განფასებაში შეტანილია „გაუთვალისწინებელი ხარჯები“. საყურადღებოა, რომ ასეთი ხარჯები არ არის გათვალისწინებული და ასევე მოთხოვნილი შპს „ალუს“ მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში, რომელმაც, როგორც ერთადერთმა პრეტენდენტმა, გაიმარჯვა N4 ლოტში (ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე რკინის ბეტონის ღობის და მსუბუქი კონსტრუქციების ავტოსამრეცხაოს მოწყობა);

¹² არ არის შესრულებული საქართველოს შს მინისტრის 8.02.06 წლის N159 ბრძანების მე-3 პუნქტის მოთხოვნა

- 2009 წლის 27 თებერვალს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების და ამ საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში, N1 ლოტში გამარჯვებული შპს „იბერია სერვისის“ სატენდერო წინადადების შეფასებისას, რომელსაც გაცხადებული ჰქონდა ყველაზე დაბალი ფასი, უპირატესობის მინიჭების ერთ-ერთ საფუძვლად (მოცემულ შემთხვევაში შპს „თეგეტა მოტორსთან“ მიმართებაში), სატენდერო კომისიის წევრთა დასკვნებში მითითებულია ის, რომ შპს „იბერია სერვისის“ შემოთავაზებული აქვს უფრო მეტი უფასო ტექნომსახურების სახეობა, თუმცა, ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი განფასებებით, ასეთი ფაქტი არ დასტურდება.

ამავე ტენდერში, N2 ლოტში გამარჯვებული პრეტენდენტის (შპს „ნნნ“, სატენდერო წინადადების ფასი - 124 964 ლარი) კონკურენტების - შპს „ავტოჰაუსის“ და შპს „დიდი დილომის“ სატენდერო წინადადებების (შპს „ავტოჰაუსის“ სატენდერო წინადადების ფასი - 115 560 ლარი, შპს „დიდი დილომის“ - 180 000 ლარი) შეფასებისას, სატენდერო კომისიის წევრთა დასკვნებში აღნიშნულია, რომ ეს საწარმოები, მათთან ახლო წარსულის პრაქტიკული ურთიერთობიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფენ ხარისხიან და ოპერატიულ მომსახურებას. დასახელებული საწარმოებიდან, შესამოწმებელ პერიოდში, კერძოდ, 2008 წლის 23 ოქტომბერს, მხოლოდ შპს „დიდი დილომთან“ გაფორმებული იქნა N162 ხელშეკრულება, 100 000 ლარის ღირებულების ანალოგიური სახის მომსახურების შესყიდვაზე ტენდერში გამარჯვების შედეგად, მაგრამ ხელშეკრულების პირობების, მათ შორის მომსახურების ხარისხთან ან ვადებთან დაკავშირებით, შეუსრულებლობის თაობაზე სამმართველოს მხრიდან მიმწოდებლის მიმართ ოფიციალური პრეტენზიების წარდგენა არ დასტურდება;

- 2008 წლის 23 სექტემბერს, სამმართველოს ბალანსზე რიცხული რუსული წარმოების ა/მანქანების და 2004 წლამდე გამოშვებული უცხოური ა/მანქანების ტექნიკური მომსახურების და ამ საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად ცნობილი იქნა შპს „დიდი დილომი“, რომელთანაც 2008 წლის 23 ოქტომბერს გაფორმდა N162 ხელშეკრულება 100 000 ლარის ღირებულების მომსახურებაზე. სატენდერო კომისიის წევრების შეფასებითი ცხრილების მიხედვით, შპს „დიდი დილომი“ უპირატესობა მიენიჭა ძირითადად სატენდერო წინადადების ღირებულების კრიტერიუმში, მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ფასების გათვალისწინებით. აუდიტის მიერ შპს „დიდი დილომის“ სატენდერო წინადადებაზე თანდართული დოკუმენტაციის შესწვლით კი გაირკვა, რომ გასაწევი ტექნიკური მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ფასები არ არის წარმოდგენილი ტენდერის შესახებ განცხადებაში ჩამოთვლილ (სულ 15 მარკის) ყველა ა/მანქანაზე, კერძოდ, მომსახურების ფასები არ არის წარმოდგენილი „გაზელის“, „უაზის“ და „ზილ 130“ მარკის ა/მანქანებზე, ხოლო სათადარიგო ნაწილების ფასები - ამავე, ასევე „ვაზ 2106“, „ვაზ 2107“, „ვაზ 2121“, „ფოლცვააგენ-გოლფ 3“, „ფიატის“, „ვოლვოს“ მარკის ა/მანქანებზე. გარდა ამისა, რიგ ა/მანქანაზე არ არის წარმოდგენილი ფასები ტექნიკური მომსახურების იმ სახეობაზე, რომლის არასრული ჩამონათვალი მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში, კერძოდ, შემდეგ შესაკეთებელ სამუშაოებზე: ქვედა ქველის შეცვლა, საწევის შეცვლა, საყრდენი ბადროს შეცვლა, თვლების ნახრის გასწორება, კარების გადაწყობა, სტარტერის მოხსნა-დაყენება, მაყუჩის მოხსნა-დაყენება. ამავდროულად, შპს „დიდი დილომის“ ერთადერთ კონკურენტს - შპს „კია მოტორს ჯორჯია“, რომლის სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 96 000 ლარს, წარმოდგენილი აქვს ფასები ტენდერის შესახებ განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ყველა მარკის ა/მანქანების მიმართებაში როგორც მომსახურების, ასევე სათადარიგო ნაწილების შესახებ.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან შპს „დიდი დილომის“ სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ იყო წარმოდგენილი ყველა საჭირო ინფორმაცია, იგი არ უნდა ჩათვლილიყო მისაღებად და არ დაშვებულიყო შეფასებისათვის. შესაბამისად, გამარჯვებულად უნდა მიჩნეულიყო შპს „კია მოტორს ჯორჯია“.¹³ შედეგად, შესასყიდი მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულება იქნებოდა 4 000 ლარით ნაკლები, შპს „დიდი დილომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულების ღირებულებასთან შედარებით.

ამავე ტენდერში, სატენდერო კომისიის ხუთი წევრისგან, სამი წევრის მიერ, შეფასების ცხრილიდან გამომდინარე, ორივე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება არ არის შეფასებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კრიტერიუმის მიხედვით, რაც აუცილებელი იყო სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად;

- 2008 წლის 12 ნოემბერს ფასთა კოტირების შედეგად გაფორმდა N173 ხელშეკრულება შპს „იბერია სერვისთან“ ა/მანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 30 000 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ შპს „იბერია სერვისის“ მიერ, სხვა მონაწილეებთან შედარებით, შემოთავაზებული იქნა უმცირესი ფასი, მისი განაცხადი სრულად არ შეესაბამებოდა ფასთა კოტირების დოკუმენტაციის პირობებს, კერძოდ, მის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი ტექნიკური მომსახურების ფასები „აუდი ა6“-სა და „ფოლცფაგენ ტუარგის“ მარკების ა/მანქანებზე, რასაც მოითხოვდა ფასთა კოტირების დოკუმენტაცია, სახელდობრ, ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის შესახებ;

- 2009 წლის 16 დეკემბერს, ფასთა კოტირების შედეგად, შპს „ეფ-ბი-აი“-სთან გაფორმდა N04-00/20/236 ხელშეკრულება კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე, ღირებულებით 4 000 ლარი, რომელმაც გაიმარჯვა N2 ლოტში (უწყვეტი კვების წყარო -40 ც, საერთო ფასი- 3 000 ლარი) და N4 ლოტში (პრინტერი ფერადი -2 ც, საერთო ფასი- 1 000 ლარი). შპს „ეფ-ბი-აი“-ს მიერ წარმოდგენილი განაცხადი არ შეიცავდა დოკუმენტს, რომელიც დაადასტურებდა, რომ უწყვეტი კვების წყაროს გააჩნია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სერთიფიკატი, ასევე მოსაწოდებელი ტექნიკის ბრენდის ოფიციალური დილერის დამადასტურებელ საბუთს, რასაც მოითხოვდა ფასთა კოტირების დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ ISO-ს სერთიფიკატის წარმოდგენლობის გამო არ შეფასებულა შპს „ალგორითმის“ განაცხადი, რომელსაც N2 და N4 ლოტებში გააჩნდა შპს „ეფ-ბი-აი“-სთან შედარებით მცირე ფასი;

- 2009 წლის 22 ივლისს ფასთა კოტირების შედეგად გაფორმებული იქნა N132 და N133 ხელშეკრულებები, შესაბამისად, შპს „ალტასთან“ (ხელშეკრულების ღირებულება -26 775 ლარი) და შპს „ორიენტ ლოჯიკთან“ (ხელშეკრულების ღირებულება - 4 667 ლარი) კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე, რომლებსაც არ წარმოუდგენიათ ფასთა კოტირების დოკუმენტაციით მოთხოვნილი საბუთები, კერძოდ, შპს „ალტას“ - ISO-ს სერთიფიკატი, ხოლო შპს „ორიენტ ლოჯიკს“ - მოსაწოდებელი ტექნიკის ბრენდის ოფიციალური დილერის დამადასტურებელ საბუთი;¹⁴

¹³ არ არის შესრულებული სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 3.01.06 წლის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „დ“ პუნქტების მოთხოვნები

¹⁴ არ არის შესრულებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის და დებულების 22-ე მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნები

– „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული, ამავე კანონის ერთ-ერთი მიზნიდან - სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, გამომდინარე, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაზუსტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ფასების არსებული დონე, რასაც მოითხოვს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

ამ მხრივ, შესყიდული სამუშაოების რეალური ღირებულების დაზუსტების მიზნით, სამმართველოს მიერ, რიგ შემთხვევაში, არ არის დადგენილი სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, რისთვისაც უნდა განხორციელებულიყო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების შესყიდვა კომპეტენტური ორგანიზაციისაგან. ასეთი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ არსებობს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ახალშემოერთებულ ტერიტორიაზე რკინის ბეტონის ღობის და მსუბუქი კონსტრუქციების ავტოსამრეცხაოს მოწყობაზე (30.03.09 წლის N52 ხელშეკრულება, ღირებულებით 59 826 ლარი, სამუშაოს მიმწოდებელი შპს „ალუ“).

ასევე არ არსებობს წინასწარი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 2008 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში შესყიდულ მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობის და მის მიმდებარე ტერიტორიის, აგრეთვე მთავარი სამმართველოს რაიონული განყოფილებების ადმინისტრაციული შენობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე (ხელშეკრულებები N155,156,160,164,187,214).მოცემულ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ცალკეულ ხელშეკრულებაზე თანხის საერთო ოდენობის დაფიქსირებით, დანარჩენ შემთხვევაში კი ერთ კვ.მ-ზე მეტრზე გაანგარიშებით და არა შესასრულებელი სამუშაოების კონკრეტული სახეობის განფასებიდან გამომდინარე.

ფორს-მაჟორული ვითარების გათვალისწინებით, რიგ ხელშეკრულებაში დათქმული იქნა პირობა, რომ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება დაექვემდებარება კორექტირებას გაზრდის ან შემცირების მიმართულებით საპროექტო ორგანიზაციებიდან და შესაბამისი სპეციალისტებიდან საპროექტო მონაცემებისა და სხვა გამოკვლევების მიღების შემდეგ. ფაქტობრივად, აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით, შესყიდული იქნა მხოლოდ კონსტრუქციული და არქიტექტორული პროექტები, სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრის გარეშე, სახელშეკრულებო ღირებულებები კი მნიშვნელოვნად გაიზარდა მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, კერძოდ: ხელშეკრულება N155, 6.10.08 წ.(მიმწოდებელი შპს „ალუ“, საწყისი ღირებულება- 578 900 ლარი, საბოლოო- 675 317 ლარი); ხელშეკრულება N156, 6.10.08 წ.(მიმწოდებელი შპს „აგუნა“, საწყისი ღირებულება- 881 300 ლარი, საბოლოო- 940 000 ლარი); ხელშეკრულება N164, 3.11.08 წ.(მიმწოდებელი შპს „ალუ“, საწყისი ღირებულება- 800 000 ლარი, საბოლოო- 978 293 ლარი); ხელშეკრულება N187, 8.12.08 წ.(მიმწოდებელი შპს „ალუ“, საწყისი ღირებულება- 100 000 ლარი, საბოლოო- 166 555 ლარი).

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად, ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება დაზუსტდებოდა სამუშაოების დასრულების შემდეგ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობათა შესაბამისად სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზებიდან მიღებული დასკვნების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უმეტეს შემთხვევაში, ექსპერტიზის ჩატარების დროისათვის, მიმწოდებლებისათვის შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებული იყო სრულად. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნით დადგინდებოდა, რომ მიმწოდებლისათვის ანაზღაურებულია მეტი თანხა, ვიდრე შესრულებული სამუშაოების

ფაქტობრივი მოცულობიდან გამომდინარე ეკუთვნოდა, დადგებოდა ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების საკითხი. ასეთ ვითარებაში კი, სამართლებრივი საფუძვლის გარდა, თანხის უკან დაბრუნებისათვის დამატებით არ იყო გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფის რაიმე მექანიზმი (გარანტია).

ასე მაგალითად, N155 ხელშეკრულების (მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის I, გლდანი-ნაძალადევის III და ძველი თბილისის III განყოფილებების ადმინისტრაციული შენობების სარეკონსტრუქციო, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, მიმწოდებელი შპს „ალუ“) საფუძველზე შედგენილი 2009 წლის 16 აპრილის ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, სამივე ობიექტზე ჯამში, ფაქტიურად ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 669 395 ლარს, ნაცვლად ფორმა N2-ებში დაფიქსირებულ 675 317 ლარისა, ანუ 5 922 ლარით ნაკლები (აღნიშნული თანხა გაქვითული იქნა შპს „ალუ“-სთან დადებული 3.11.08 წლის N164 ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოების ღირებულების საბოლოო ანაზღაურებისას).

N156 ხელშეკრულების (მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის II, გლდანი-ნაძალადევის VII და ისანი-სამგორის IX განყოფილებების ადმინისტრაციული შენობების სარეკონსტრუქციო, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, მიმწოდებელი შპს „აგუნა“) საფუძველზე შედგენილი 2009 წლის 11 მარტის ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, სამივე ობიექტზე ჯამში, ფაქტიურად ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 808 090 ლარს, ნაცვლად ფორმა N2-ებში მოცემული 940 000 ლარისა, ანუ 131 910 ლარით ნაკლები.

ექსპერტიზის დასკვნებთან დაკავშირებით, სამუშაოების შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი განმარტებებისა და დამატებითი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ჩატარებული იქნა განმეორებითი ექსპერტიზა, რომელთა 2009 წლის 12 აგვისტოს დასკვნების თანახმად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობებიდან გამომდინარე, მისმა ღირებულებამ 940 000 ლარი შეადგინა. გარდა ამისა, აუდიტისათვის წარმოდგენილი იქნა 2010 წლის 19 მარტის N1903/03/1 დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნა ფორმა N2-ებში ნაჩვენები მასალისა და შრომის ანაზღაურების ღირებულებების ბაზარზე არსებულ ფასებთან შესაბამისობა.

– დებულების 26-ე მუხლის მე-18 პუნქტის თანახმად, წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარი გასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია იმ ფორმითა და ვადით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული.

მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის ვადა, ერთ შემთხვევაში, არ შეესაბამებოდა სამუშაოს შესრულების დასრულების ვადას, რასაც მოითხოვდა ხელშეკრულების პირობები, კერძოდ, 30.03.09 წლის N51 ხელშეკრულება (მიმწოდებელი შპს „დავითი“, საავანსო თანხის ოდენობა- 500 000 ლარი, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა -2009 წლის 6 ივლისამდე, სამუშაოს დასრულების ვადა - 2009 წლის 20 ნოემბერი).¹⁵

გარდა ამისა, აუდიტის პერიოდში, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე, ადგილი ჰქონდა მიმწოდებლის მიერ წინასწარ გადახდაზე წარმოდგენილი საბანკო გარანტიების მოქმედებისა და საგადახდო დავალებების მიხედვით, ამავე გადახდების დამოწმების ვადებს შორის შეუსაბამოების ფაქტებს, კერძოდ, საავანსო გადახდის საბანკო გარანტიების მოქმედების ვადა,

¹⁵ არ არის შესრულებული დებულების 26-ე მუხლის მე-18 პუნქტის მოთხოვნა

რიგ შემთხვევაში, ნაკლები იყო დამოწმების წარმოდგენის ვადაზე. ამდენად, დამოწმების მთლიან პერიოდში საავანსო გადახდა არ იყო უზრუნველყოფილი გარანტიით შემდეგი ხელშეკრულებების მიხედვით:

- N155 ხელშეკრულება (ავანსის ოდენობა - 150 000 ლარი; დამოწმების ვადა - 29.12.08 წ.-დე, საბანკო გარანტიის ვადა - 22.10.08 წ.-დე);
- N156 ხელშეკრულება (ავანსის ოდენობა - 150 000 ლარი; დამოწმების ვადა - 29.12.08 წ.-დე, საბანკო გარანტიის ვადა - 22.10.08 წ.-დე);
- N187 ხელშეკრულება (ავანსის ოდენობა - 100 000 ლარი; დამოწმების ვადა - 05.02.09 წ.-დე, საბანკო გარანტიის ვადა - 21.01.09 წ.-დე);
- N214 ხელშეკრულება (ავანსის ოდენობა - 63 427 ლარი; დამოწმების ვადა - 19.05.09 წ.-დე, საბანკო გარანტიის ვადა - 15.03.09 წ.-დე);
- N214 ხელშეკრულება (ავანსის ოდენობა - 63 427 ლარი; დამოწმების ვადა - 19.05.09 წ.-დე, საბანკო გარანტიის ვადა - 15.03.09 წ.-დე);
- N 51 ხელშეკრულება (ავანსის ოდენობა - 146 081 ლარი; დამოწმების ვადა - 11.10.09 წ.-დე, საბანკო გარანტიის ვადა - 6.07.09 წ.-დე; ავანსის ოდენობა - 128 918 ლარი; დამოწმების ვადა - 17.10.09 წ.-დე, საბანკო გარანტიის ვადა - 6.07.09 წ.-დე);
- N 52 ხელშეკრულება (ავანსის ოდენობა - 225 000 ლარი; დამოწმების ვადა - 12.07.09 წ.-დე, საბანკო გარანტიის ვადა - 6.07.09 წ.-დე);

- აუდიტის პერიოდში შესრულებული სამუშაოების ანლიზით გაირკვა, რომ რიგ შემთხვევაში, შედგენილი ხარჯთაღრიცხვებიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო ღირებულებაში ზედმეტად არის შეტანილი სოციალური ანარიცხის თანხები მაშინ, როდესაც სოციალური გადასახადი 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმებული იქნა, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ხელფასის თანხაზე დამატებულია საშემოსავლო გადასახადის თანხა მაშინ, როდესაც საშემოსავლო გადასახადი დაიკავება დარიცხული ხელფასის ოდენობიდან.

სოციალური გადასახადის სახით ზედმეტად არის ანაზღაურებული თანხები შემდეგ ხელშეკრულებებზე შემდეგი ოდენობით (მათზე დარიცხული ზედნადები ხარჯების, სახარჯთაღრიცხვო მოგებისა და დღგ-ის თანხების გათვალისწინებით):

- N179 (1.12.08 წ., მიმწოდებელი შპს „ჰოლდინგური კომპანია ნაიტეკი“) - 934.44 ლარი;
- N75 (27.04.09 წ., მიმწოდებელი შპს „ჰოლდინგური კომპანია ნაიტეკი“) - 1 336.61 ლარი;
- N139 (27.07.09 წ., მიმწოდებელი შპს „ჰოლდინგური კომპანია ნაიტეკი“) - 122.01 ლარი;

საშემოსავლო გადასახადის სახით ზედმეტად არის ანაზღაურებული თანხები შემდეგ ხელშეკრულებებზე შემდეგი ოდენობით (მათზე დარიცხული ზედნადები ხარჯების, სახარჯთაღრიცხვო მოგებისა და დღგ-ის თანხების გათვალისწინებით):

- N160 (17.10.08 წ., მიმწოდებელი შპს „მემონტაჟე ნიკა“) - 905.69 ლარი;
- N76 (27.04.09 წ., მიმწოდებელი შპს „ჯორჯია ინტერნეშენელ კომუნიკეიშენ“) - საშემოსავლო გადასახადი და მათზე დარიცხული დღგ-ის თანხის ერთობლიობა, ხარჯთაღრიცხვით ნაჩვენებია ჯამში 790. 24 ლარის ოდენობით, მაგრამ იმის გამო, რომ ზედნადები ხარჯის ოდენობა არითმეტიკულად არასწორად არის გაანგარიშებული, რაც გავლენას ახდენს მოგების, დღგ-სა და შესაბამისად, საბოლოო ღირებულების განსაზღვრაზე, ხარჯთაღრიცხვის მონაცემებიდან და პირობებიდან გამომდინარე, შესრულებულია 44 294.95 ლარის სამუშაო, ნაცვლად 45 030.52 ლარისა. შესაბამისად, მთლიანობაში ზედმეტად არის ანაზღაურებული 735.15 ლარი.

- N172 (12.11.08 წ., მიმწოდებელი შპს „ორიენტ +“) - 1 200 ლარი;
- სულ, ზედმეტად ანაზღაურებულმა თანხამ 5 233.09 ლარი შეადგინა.

NN75,76,160 და 179 ხელშეკრულებებზე ზედმეტად გადახდის ფაქტები დაფიქსირებულია ასევე შს სამინისტროს მიერ ჩატარებული მთავარი სამმართველოს 2007 წლის 1 ოქტომბრიდან 2009 წლის 1 ივლისამდე პერიოდის საფინანსო-სამეურნეო საქმისწარმოების მონიტორინგის 26.11.09 წლის ცნობაში.

– სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად (მუხლები 5, 6), სამუშაოები შესრულებულად ჩაითვლება შესრულებული სამუშაოების შესახებ საგადასახადო ანგარიშფაქტურის, შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალის (ფორმა N2) და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

ვერ იქნა წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები სამუშაოების შუალედური მიღება-ჩაბარებების შესახებ შემდეგ ხელშეკრულებებზე: N 155 (6.10.08 წ.), N156 (6.10.08 წ.), N164 (3.11.08 წ.), N187 (08.12.08 წ.), N214 (19.12.08 წ.), N51 (30.03.09 წ.), N52 (30.03.09 წ.), N53 (1.04.09 წ.).

ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებების აქტები შემდეგ N 155 (6.10.08 წ.) და 156 (6.10.08 წ.) ხელშეკრულებებზე.¹⁶

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებზე მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელებულია საგადასახადო ანგარიშფაქტურის და შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალის (ფორმა N2) საფუძველზე.

3.2 აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

– საქართველოს შს მინისტრის 8.02.06 წლის N159 ბრძანების მოთხოვნათა შესრულების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტების მთავარი სამმართველოს უფროსის მიერ დამტკიცებამდე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენამდე 15 დღით ადრე პროექტი შეუთანხმდეს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;

– ტენდერის და ფასთა კოტირების საშუალებით საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში, გამარჯვებულის გამოვლენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა გამომდინარეობდეს დოკუმენტალურად დადასტურებული მონაცემებიდან და შეესაბამებოდეს სატენდერო და ფასთა კოტირების დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროა წარმოდგენილი შემოთავაზებების დეტალური და ყოველმხრივი შესწავლა-ანალიზი;

– სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის მოთხოვნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოების შესყიდვისას, მისი რეალური ღირებულების დაზუსტების მიზნით, საპროექტო დოკუმენტაციის მოწოდებასთან ერთად შესყიდული იქნას მომსახურება შესასრულებელი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე;

¹⁶ დარღვეულია დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საქონლის, სამუშაოს, მომსახურების მიღება ხდება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების საფუძველზე (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

- იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნება პირობა, რომლის თანახმად შესრულებული სამუშაოს საბოლოო ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, მიზანშეწონილია ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე მიმწოდებელთან არ განხორციელდეს სრული ანგარიშსწორება, ვინაიდან, შესრულებული სამუშაოს ფაქტობრივი მოცულობიდან გამომდინარე, შესაძლებელია წარმოიქმნას ანაზღაურებული თანხის დაბრუნების ან დეფექტების აღმოფხვრის აუცილებლობა. ამ მხრივ, შეიძლება განისაზღვროს თანხის ის ოდენობა (ხელშეკრულების ღირებულების გარკვეული პროცენტის შესაბამისი), რომელიც გადახდილი იქნება მიმწოდებლისთვის ექსპერტიზის აქტის მიღების შემდეგ ან ამავე პირობებით წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე;

- დაცული იქნას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობები საავანსო გადახდაზე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის შესახებ. ამასთან, საავანსო გადახდა უზრუნველყოფილი იქნას გარანტიით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ დამოწმების წარმოდგენის მთლიან ვადაში;

- გამკაცრდეს კონტროლი იმ მიზნით, რომ სამუშაოების შესყიდვისას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვებში არ იქნას გათვალისწინებული არარეალური და უსაფუძვლო ხარჯი, რათა გამოირიცხოს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან ზედმეტი თანხების ანაზღაურება;

- სამუშაოების მიღება (როგორც შუალედური, ასევე საბოლოო) განხორციელდეს მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, რითაც დადასტურებული უნდა იქნას როგორც სამუშაოს დასრულების ვადა, ასევე მისი მოცულობა, ხარისხი და ღირებულება, რაც აუცილებელია ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

4. სახელმწიფო ქონების განკარგვის მდგომარეობა

4.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

აუდიტისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების, პირველადი საბუთებისა და სხვა დოკუმენტების (ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანებები, უზუფრუქტის ხელშეკრულებები, ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებები და სხვა) საფუძველზე დადგინდა, რომ მთავარი სამმართველოს მიერ არაფინანსური აქტივების შესყიდვა, უსასყიდლოდ მიღება/გადაცემა, ასევე ჩამოწერა განხორციელებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, გარდა ზოგიერთი უზუსტობებისა, რომელიც განხილულია პირველ საკითხში მათი აღრიცხვიანობის კუთხით.

მთავარი სამმართველოს ბალანსზე 2010 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 254 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, რომლებზეც აუდიტის პერიოდში გაწეულია სულ 3,330.6 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი. კერძოდ: შეკეთებაზე (რემონტზე) გაწეულია 963,0 ათასი ლარის ხარჯი, ა/ ნაწილების შეძენაზე - 238.9 ათასი ლარი, საწვავზე - 2,128.7 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებიდან ბალანსზე ირიცხება სრულად ამორტიზირებული 17 ერთეული ავტომანქანა, რომელთა ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია. აქედან 3 ერთეული არის ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი, ხოლო დანარჩენ 14 ერთეულზე გახარჯულია 71.0 ათასი ლარი (შეკეთებაზე-30.0 ათასი, 77 საბურავის შესყიდვაზე-8,4 ათასი, 12 აკუმულატორის შესყიდვაზე- 1.8 ათასი , საწვავზე - 26.5 ათასი ლიტრი/30.7 ათასი ლარი). ასეთი აქტივების წინასწარ განსაზღვრულ ვადაზე მეტი დროის განმავლობაში მუშაობის დაფიქსირების შემდგომ ხარისხის გაუმჯობესება, მოქმედი წესების თანახმად, აისახება სხვა მოცულობით ცვლილებად, ხოლო ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2 აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

- ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი ნულოვანი ნარჩენი ღირებულების მქონე ძირითადი აქტივების ჩამოწერა განხორციელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 27 მარტის N393 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

- ექსპლუატაციისათვის ვარგისი (ნულოვანი ნარჩენი ღირებულების) ძირითადი აქტივების ასახვა მოხდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 59-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კერძოდ, განხილულ იქნას როგორც აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილება (ხარისხობრივი) და აისახოს ძირითადი აქტივების შესაბამის ანგარიშის დებეტსა და აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებების (8200) ანგარიშის კრედიტში. ასევე, ამავე ინსტრუქციის 71-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, მოხდეს სრულად ამორტიზირებული ძირითადი აქტივების ასახვა საცნობარო მუხლში მათ ჩამოწერამდე.

5. წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა

5.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება

წინა, 2006 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდის შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური რევიზია ჩატარებული იქნა საქართველოს კონტროლის პალატის მიერ, რის შესახებ შედგენილია 18.12.08 წლის N171/20 აქტი.

რევიზიის შედეგებზე, მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობას, 26.02.09 წელს გაეგზავნა წარდგინება, რომლის განხილვისა და რევიზიით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შესახებ კონტროლის პალატას ეცნობა 28.02.09 წ. N27/1-334 და 06.08.09 წ. N27/1-1530 წერილებით.

მიღებული პასუხის თანახმად, მთავარი სამმართველოს მიერ გატარებული იქნა ღონისძიებები, რის შედეგად:

- პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები და სააღრიცხვო რეგისტრები წარმოებს დამტკიცებული ფორმების შესაბამისად;
- მოწესრიგებულია ხელფასების, პრემიების, დახმარებებისა და კომპენსაციების გაცემა;
- მთლიანად დაფარულია სამივლინებო დავალიანებები;
- დაცულია გადახდებისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციების მოთხოვნები.

როგორც აუდიტით დადგინდა, შემოწმებულ პერიოდში კვლავ ჰქონდა ადგილი შრომის ანაზღაურების თანხების ზედმეტად დარიცხვისა და გაცემის ფაქტებს. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც დამოწმების დოკუმენტები წარდგენილია დადგენილი ვადის დარღვევით. გარდა ამისა გამოვლინდა ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი წესების, ასევე

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობის ფაქტები, რაც ასახულია წინამდებარე აუდიტის აქტში.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი:

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.